არაოფიციალური თარგმანი

არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია
საქართველო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური
2017 წლის 12 ნოემბერი

მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ

წინასწარი დასკვნები

საქართველოს ექვს რეგიონში 12 ნოემბერს ჩატარებული მერების არჩევნების მეორე ტური კარგად იყო ადმინისტრირებული და კანდიდატებს არჩევნებში თავისუფლად მონაწილეობის საშუალება ჰქონდათ. ისევე როგორც პირველ ტურში, ფუნდამენტური თავისუფლებები, ძირითადად, დაცული იყო. მედიის მეშვეობით წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებასთან და სუბიექტების მეორე ტურიდან საკუთარი კანდიდატურების მოხსნასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა მეორე ტურის შეჯიბრითობაზე უარყოფითი გავლენა იქონია, რაც საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების დამატებით საჭიროებაზე მიუთითებს. არჩევნების პირველ და მეორე ტურს შორის პერიოდში საჩივრების დიდი ოდენობის პროცედურული ან ფორმალისტური საფუძვლების გამო განხილვის გარეშე უარყოფამ კანდიდატებისა და ამომრჩევლების დარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიღწევის უფლება და საარჩევნო დავების გადაწყვეტის სისტემისადმი საზოგადოების ნდობა შეარყია. კენჭისყრის დღის პროცედურები შეუფერხებლად და პროფესიონალურად წარიმართა. არჩევნებზე დამკვირვებლებმა ხმის მიცემის, ხმების დათვლის და გადათვლის პროცესი დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს. თუმცა, ზეწოლისა და დაშინების შესაძლო შემთხვევები შეშფოთებას იწვევდა.

საკანონმდებლო ჩარჩო ძირითადად სათანადო საფუძველს ქმნის არჩევნების დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად ჩასატარებლად. თუმცა, საარჩევნო კოდექსში მეორე ტურთან დაკავშირებით კონკრეტული რეგულაციები არ არსებობს, რის გამოც გარკვეული ასპექტები ნაკლებად რეგულირებული ან ბუნდოვანია. კანონის მოთხოვნების შესაბამისად მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის ჩატარდა, რომლებმაც პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. 23 ოქტომბერს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ განაცხადა, რომ პარტია არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებდა. ვინაიდან საარჩევნო კოდექსი მეორე ტურში გასული სუბიექტების მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნის საშუალებას არ იძლევა, შედეგად ექვსიდან ორ ოლქში საარჩევნო მარათონს ადგილი არ ჰქონია. მერობის კანდიდატებს შორის არცერთი ქალი იყო.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა მეორე ტურისთვის მოსამზადებელი ღონისძიებები პროფესიონალურად და დროულად განახორციელეს, მათ შორის, შესაბამისი საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა უფლებამოსილების გაგრძელება და საარჩევნო ადმინისტრაციის ვაკანტურ თანამდებობებზე თანამშრომელთა

ღია კონკურსის წესით აყვანა. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის დამატებითი ტრენინგები გაიმართა პირველი ტურის დროს მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით. ამომრჩეველთა სიები განახლდა გარდაცვლილი ამომრჩევლების სიებიდან ამოღების და არჩევნების პირველ და მეორე ტურს შორის 18 წელს მიღწეული პირების სიებში ჩასმის მიზნით. როგორც პირველი ტურის შემთხვევაში, ახლაც დაინტერესებულმა მხარეებმა ამომრჩეველთა სიების სიზუსტის მიმართ ნდობა გამოხატეს. ცესკომ არსებული სადამკვირვებლო აკრედიტაციების გახანგრძლივება პასუხისმგებელ პირთა ჩართულობით უზრუნველყო. გარდა ამისა, არჩევნებზე დაკვირვების მიზნით ცესკომ დამატებითი აკრედიტაციის საშუალებაც შექმნა.

პირველი ტურის შემდეგ არჩევნებში მონაწილე მხარეებმა და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 970 საჩივარი, ხოლო ცესკოში 28 საჩივარი შეიტანეს. საჩივრები უმეტესწილად ღიად და კოლეგიალურად განიხილებოდა, შესაბამისი პროცედურებისა და კანონით დადგენილი საბოლოო ვადების დაცვით. თუმცა ბევრი საჩივარი პროცედურულ საფუძველზე იქნა უარყოფილი, მათ შორის კანონის ფორმალისტურად განმარტების შედეგად. ამ პრაქტიკამ დარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიღწევის უფლება და საარჩევნო დავების გადაწყვეტის სისტემისადმი საზოგადოების ნდობა შეარყია, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება.

კანდიდატებს წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად წარმართვის საშუალება ჰქონდათ, და ფუნდამენტური უფლებები ძირითადად დაცული იყო. წინასაარჩევნო კამპანია მთლიანობაში შეზღუდული მასშტაბით მიმდინარეობდა. მეორე ტურისთვის ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება მთავარ პრობლემად არ დასახელებულა, თუმცა ზეწოლისა და დაშინების ცალკეულ შემთხვევებზე ინფორმაცია მაინც ვრცელდებოდა. კანდიდატებს მეორე ტურისთვის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით დამატებითი ანგარიშების წარმოდგენა ევალებოდათ, თუმცა პროცესი არაეფექტური იყო, რადგან სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ანგარიშები კენჭისყრის დღემდე არ გადაუმოწმებია.

მედია მთელი ქვეყნის მასშტაბით უმეტესწილად მეორე ტურის ფარგლებში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის იგნორირებას ახდენდა, თუმცა, ზოგიერთი ადგილობრივი მედიასაშუალება ამომრჩევლებს საარჩევნო სუბიექტების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. მედიის მარეგულირებელი ორგანოდან მიღებული მითითებების შესაბამისად, მაუწყებლებმა უფასო საეთერო დროის გამოყოფა და ფასიანი საარჩევნო რეკლამების შეთავაზება მხოლოდ 2 ნოემბრიდან დაიწყეს, რამაც კანდიდატებისთვის მედია კამპანიის წარმოების შესაძლებლობა შეზღუდა. მეორე ტურის გაშუქება უფრო მეტად შესამჩნევი კენჭისყრის დღემდე მხოლოდ ერთი კვირით ადრე გახდა, გაშუქების მხრივ მთავარ მაუწყებლებზე მმართველი პოლიტიკური ძალა „ქართულ ოცნება“ დომინირებდა. სამოქალაქო საზოგადოების 29 ორგანიზაციამ ერთობლივი განცხადებით საზოგადოებრივ მაუწყებელზე მთავრობასთან დაკავშირებული პირებისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მზარდი ზეგავლენა დაგმო.

კენჭისყრის პროცედურები შეუფერხებლად და პროფესიონალურად განხორციელდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნული პროცედურები დადებითად შეაფასეს. პირველ ტურთან შედარებით ხმის დათვლის პროცედურების დაცვა აშკარად გაუმჯობესდა, რაც ნაკლებად რთული პროცესით და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების უკეთესად მომზადებით იყო განპირობებული. ბევრ საარჩევნო უბანთან ადამიანთა დიდი ჯგუფები შეიკრიბა, ზოგიერთ შემთხვევაში დამკვირვებლების განცხადებით ამომრჩევლებზე შესაძლო ზეწოლის და დაშინების ნიშნები ფიქსირდებოდა. 13 ნოემბრის 03:00-ისთვის ცესკომ საკუთარ ვებ გვერდზე ყველა საარჩევნო უბნის შედეგების ოქმები გამოაქვეყნა და წინასწარი შედეგები გამოაცხადა, რამაც გამჭვირვალობის დონე კიდევ უფრო გაზარდა. დარღვევებთან და პროცედურულ შეცდომებთან დაკავშირებით შედარებით ნაკლები რაოდენობის საჩივარი შევიდა.

წინასწარი მიგნებები

წინაისტორია და პირველი ტურის შემდეგ განვითარებული მოვლენები

არჩევნების პირველი ტური 21 ოქტომბერს გაიმართა. მერები ორტურიანი მაჟორიტარული სისტემით, ხოლო საკრებულოების წევრები ერთტურიანი შერეული საარჩევნო სისტემით აირჩიეს.[1] 64 თვითმმართველ მუნიციპალიტეტსა და ქალაქში (მათ შორის თბილისში) პირველ ტურში ორმოცდათვრამეტი მერი აირჩიეს. აქედან 57 მერი – „ქართული ოცნების“, ხოლო 1 „ერთიანი საქართველოს“ წარმომადგენელია. საკრებულოების არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ 1,088 მაჟრიტარული ადგილიდან 1,009 ადგილი მოიპოვა, ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით მმართველმა პარტიამ პროპორციული სისტემით 55.8% მიიღო, რამაც მას თითქმის ყველა საკრებულოში მტკიცე უმრავლესობა მოუტანა. პროპორციული სისტემით „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 17.1%, „ევროპულმა საქართველომ“ – 10.4%, ხოლო „პატრიოტთა ალიანსმა“ 6.6% მიიღო. მაშასადამე, 4%-იანი საარჩევნო ბარიერი ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ გადალახა. თვითმმართველობის ახლადარჩეულ ორგანოებში ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილი,, 64 არჩეულ მერს შორის მხოლოდ ერთია ქალი, ხოლო საკრებულოებში არჩეულ ქალთა წარმომადგენლობა 13%-ს შეადგენს.

ოპოზიციური კანდიდატების უმრავლესობამ შეშფოთება გამოხატა იმის გამო, რომ არჩევნების შედეგებზე ზეგავლენა მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებამ და ამომრჩევლებზე განხორციელებულმა ზეწოლამ მოახდინა, მათ შორის, კენჭისყრის დღეს, 21 ოქტომბერს. „დემოკრატიულმა მოძრაობამ –

[1] საკრებულოებში არჩევნები შერეული პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ტარდება. თბილისში საკრებულოს 25 წევრს – პროპორციული სიით, ხოლო 25-ს მაჟორიტარული სისტემით ირჩევენ. თვითმმართველ ქალაქებში (ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და რუსთავი) საკრებულოების 15 წევრი პროპორციული სიით, ხოლო 10 კი მაჟორიტარული სისტემით აირჩევა. დანარჩენ 59 მუნიციპალიტეტში 15 წევრი – პროპორციული სიებით, ხოლო 1 წევრი მაჟორიტარული სისტემით თითოეული დასახლებიდან აირჩევა, გარდა ამისა, 1-დან 5-მდე მაჟორიტარი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრის წარმომადგენლად აირჩევა და რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული თვითმმართველი თემის სიდიდეზე.

თავისუფალი საქართველო“, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ მთელი ქვეყნის მასშტაბით ასობით საარჩევნო უბნის შედეგები ეჭვქვეშ დააყენა და ამის მიზეზად ფართომასშტაბიანი დარღვევები დაასახელა.

ექვს მუნიციპალიტეტში არჩევნების მეორე ტური 12 ნოემბრისთვის დაინიშნა, რომელშიც მერობის ის ორი კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას, რომელთაც ხმების უმეტესობა მოიპოვეს.[2] ექვსივე ოლქში „ქართულ ოცნებას“ თითო კანდიდატი ჰყავდა წარმოდგენილი, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – ორი, „პატრიოტთა ალიანსს“ – ერთი და „დემოკრატიულ მოძრაობას“ – ერთი. გარდა ამისა, მეორე ტურში მერობის ორი დამოუკიდებელი კანდიდატი მონაწილეობდა. კანდიდატებს შორის არცერთი ქალი არ იყო. 23 ოქტომბერს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ განაცხადა, რომ პარტია მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებდა, რის შედეგადაც ექვსიდან ორ ოლქში საარჩევნო მარათონს ადგილი არ ჰქონია.[3]

არჩევნების პირველი ტურის შედეგების შეჯამება

22 ოქტომბრისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების ოქმები გამოაქვეყნა და არჩევნების წინასწარი შედეგები გამოაცხადა, რითაც პროცესის გამჭვირვალობა უზრუნველყო. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო მისიის დაკვირვებით საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების 10%-ზე მეტი შესწორებული იყო, რაც სავარაუდოდ უმეტესწილად ტექნიკურმა შეცდომებმა განაპირობა. საუბნო საარჩევნო კომისიებმა გარკვეული რაოდენობის განმარტებითი ბარათი წარმოადგინა, სადაც ოქმებში გამოტოვებული ან არასწორი ინფორმაცია იყო ახსნილი.[4] რამდენიმე საოლქო საარჩევნო კომისიამ ჩასწორებული ოქმები მხოლოდ ამ განმარტებითი ბარათების საფუძველზე დაამტკიცა სათანადო გამოძიების გარეშე (იხ. *„საჩივრები და სარჩელები“).*[5] ჩასწორებული შედეგების ოქმების დიდი ოდენობა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შორის პროცედურების არასათანადო ცოდნაზე მიანიშნებს. კენჭისყრის

---

2 მეორე ტურები თვითმმართველ ქალაქ ქუთაისსა და ხუთ თვითმმართველ მუნიციპალიტეტში: ყაზბეგში, ხაშურში, ბორჯომში, მარტვილსა და ოზურგეთში ჩატარდა.

3 საარჩევნო კოდექსის მიხედვით, მეორე ტურში მონაწილე სუბიექტებს საკუთარი კანდიდატურის მოხსნის ან უკან გაწვევის უფლება არ აქვთ. აქედან გამომდინარე, ქუთაისსა და მარტვილში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები დარჩნენ საარჩევნო ბიულეტენებში.

4 საუბნო საარჩევნო კომისიებმა მათ მიერ წარმოდგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში არსებულ შესწორებებთან დაკავშირებით 1,507 განმარტებითი ბარათი შეადგინეს. აუცილებელი ელემენტების (მაგ.,, ბეჭედი, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ხელმოწერების თარიღი და დრო) არარსებობის და ასევე შეუსაბამობების შესწორების საჭიროების (მაგალითად, ამომრჩეველთა სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერის არარსებობა, ზედმეტი ბიულეტენების გაცემა, არასწორად ჩაწერილი ან გამოტოვებული ციფრები) მიზეზად უმეტესწილად ოქმებში არსებული ხაზების ერთმანეთში არევა, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა გადაღლილობა ან ცუდი სამუშაო პირობები სახელდებოდა.

5 მაგალითად, მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათების საფუძველზე თეთრიწყაროს #26-ე საოლქო საარჩევნო კომისიამ #37-ე საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა, რომელშიც ბათილი ბიულეტენების შესახებ ინფორმაცია არ იყო შეტანილი; საბურთალოს #3-ე საოლქო საარჩევნო კომისიამ 59-ე, 67-ე, 72-ე, 78-ე, 79-ე და 88-ე საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების ისეთი შემაჯამებელი ოქმები დაამტკიცა, რომლებსაც საუბნო საარჩევნო კომისიების ბეჭდები აკლდა.

შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსების პროცედურების დარღვევისას საოლქო საარჩევნო კომისიები ხშირად საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიმართ სანქციებს ან არ იყენებდნენ ან სანქციების გამოყენება არათანმიმდევრულად ხდებოდა.[6] ამგვარი პრაქტიკა სანქციების ეფექტურობისა და შესაძლო დაუსჯელობის თვალსაზრისით ეჭვს აჩენს.

საოლქო საარჩევნო კომისიებში ხმების ხელახლა გადათვლასთან დაკავშირებული 213 მოთხოვნა და ასევე საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების გაუქმების 143 მოთხოვნა შევიდა. თუმცა კანონში ხმების ხელახალი გადათვლის ან შედეგების გაუქმების მოთხოვნისა და დაკმაყოფილების საფუძვლები არ არის გაწერილი. აღნიშნული მოთხოვნები ძირითადად სავარაუდო პროცედურულ დარღვევებს ეყრდნობოდა და, როგორც წესი, მათი დაკმაყოფილება არასაკმარისი საფუძვლების გამო არ ხდებოდა. ხმების გადათვლასთან დაკავშირებული ორი მოთხოვნა (ორივე „ქართული ოცნების“ მხრიდან)[7] დაკმაყოფილდა.

წინასწარი შედეგების საფუძველზე, რომლის თანახმად თიანეთში მერის არჩევნებში ორ კანდიდატს თითქმის თანაბარი შედეგი ჰქონდა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა მე-19 საოლქო საარჩევნო კომისიაში მე-20 საარჩევნო უბანზე ბათილად ცნობილი ბიულეტენების ხელახალი გადათვლა მოითხოვა. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა და სარჩელის შეტანიდან რამდენიმე წუთში ხმების ხელახლი გადათვლა მოხდა. შედეგად ხუთი ბიულეტენი ნამდვილად იქნა ცნობილი, რამაც წინასწარი შედეგები „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის სასარგებლოდ შეცვალა.[8] ხმების ხელახალი გადათვლის მოთხოვნის დაჩქარებული წესით დაკმაყოფილებით და გადაწყვეტილების განხორციელებით პროცედურული წესები დაირღვა, რამაც მე-19 საოლქო საარჩევნო კომისიის მიუკერძოებლობის შესახებ ეჭვი წარმოშვა.[9] მოგვიანებით მცხეთის რაიონულმა სასამართლომ პროცედურული საფუძვლების გამო საოლქო საარჩევნო

---

6 შესწორების ოქმების შედგენის გარეშე შემაჯამებელ ოქმებში ცვლილებების შეტანის შემთხვევებში საოლქო საარჩევნო კომისიებმა საარჩევნო კოდექსის 87-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის მაგივრად, რომელიც 500 ლარის ოდენობის ადმინისტრაციულ ჯარიმას გულისხმობს, მხოლოდ საარჩევნო კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია - გაფრთხილება - გამოიყენეს დისციპლინარული დარღვევისთვის.

7 22-ე და 47-ე საარჩევნო უბნებზე (მესტია) ხმების ხელახლა გადათვლის შედეგად დადგინდა, რომ შეცდომა ტექნიკური ხასიათის იყო და საბოლოო შედეგებზე ზეგავლენას არ ახდენდა. მე-20 და მე-19 საარჩევნო უბნებზე (თიანეთი) ხმების ხელახლა გადათვლის შედეგად შედეგები „ქართული ოცნების“ კანდიდატის სასარგებლოდ შეიცვალა, თუმცა შემდგომში სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნული შედეგი ბათილად იქნა ცნობილი.

8 წინასწარი შედეგების მიხედვით „ერთიანი საქართველოს“ კანდიდატი არჩევნებს 3,077 ხმით იგებდა, მაშინ როდესაც „ქართული ოცნების“ კანდიდატს 3,076 ხმა ჰქონდა მიღებული. ბათილად ცნობილი ბიულეტენების ხელახალი გადათვლის შედეგად „ქართული ოცნების“ კანდიდატმა „ერთიანი საქართველოს“ კანდიდატს ოთხი ხმით მოუგო.

9 საჩივარი პირდაპირ საოლქო საარჩევნო კომისიაში 04:37 საათზე შევიდა, მისი განხილვა 05:00 საათზე მოხდა, მაშინ როდესაც მე-20 საარჩევნო უბანზე, რომელიც მე-19 საოლქო საარჩევნო ოლქში ბოლო საარჩევნო უბანს წარმოადგენდა, შედეგების ოქმების შეჯამება ხდებოდა. საარჩევნო კოდექსის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევით, საოლქო საარჩევნო კომისიამ ბიულეტენების ხელახალი გადათვლის შესახებ არ აცნობა ყველა იმ საარჩევნო სუბიექტს და სადამკვირვებლო ორგანიზაციას, რომლებიც მე-20 საარჩევნო უბანზე ხმების დათვლის პროცესს ესწრებოდნენ.

კომისიის გადაწყვეტილება გააუქმა, რითაც პარტია „ერთიანი საქართველოსთვის“ კანდიდატის გამარჯვება დადასტურდა.[10]

არჩევნების პირველი ტურის შემდეგ შეტანილი საჩივრები და სარჩელები

21 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებმა დაახლოებით 970 საჩივარი მიიღეს, რომლებიც ძირითადად ხმის მიცემის პროცესის და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსების დროს დაფიქსირებულ პროცედურულ დარღვევებს ეხებოდა. საჩივრების ნახევარზე მეტი ადგილობრივ დამკვირვებელთა ჯგუფებმა შეიტანეს, ხოლო დანარჩენი საჩივრები - თავად არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმა. დაახლოებით 335 საჩივარი სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო დანარჩენი საჩივრები ან არ დაკმაყოფილდა ან განხილვის გარეშე იქნა უარყოფილი.[11]

საჩივრები ცესკოში და საოლქო საარჩევნო კომისიებში უმეტესწილად ღიად და კოლეგიალურად განიხილებოდა, შესაბამისი პროცედურებისა და კანონით დადგენილი საბოლოო ვადების დაცვით. ბევრი საჩივარი პროცედურულ საფუძველზე განხილვის გარეშე იქნა უარყოფილი, მათ შორის, კანონის ფორმალისტურად განმარტების საფუძველზე.[12] საოლქო საარჩევნო კომისიები დიდი რაოდენობის საჩივართა არსს არ განიხილავდნენ და სავარაუდო დარღვევების სათანადო გამოძიებას არ ახდენდნენ. საარჩევნო კოდექსით ბოლომდე ნათლად განსაზღვრული არ არის, შესაძლებელია თუ არა საჩივრის საოლქო საარჩევნო კომისიაში შეტანა, მისი ჯერ საუბნო საარჩევნო კომისიაში წარდგენის გარეშე. საოლქო საარჩევნო კომისიებში პირდაპირ შეტანილი საჩივრების დიდი ნაწილი არ დაკმაყოფილდა. არჩევნების შემდეგ ცესკომ 23 საჩივარი ღია

---

10 “ქართული ოცნების“ მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. 2 ნოემბერს „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატმა თიანეთში ქალბატონმა ლელა ქიტესაშვილმა მე-19 საოლქო საარჩევნო ოლქის შედეგების შემაჯამებელი ოქმი ცესკოში გაასაჩივრა; სარჩელის ის ნაწილი, რომელშიც შედეგების გაუქმება იყო მოთხოვნილი, არ დაკმაყოფილდა. ქალბატონი ლელა ქიტესაშვილის შემდგომი სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში ასევე არ დაკმაყოფილდა.

11 ბევრი საჩივარი უმნიშვნელო ტექნიკურ საკითხს ეხებოდა და საარჩევნო კომისიების წევრების მიმართ სანქციების გამოყენებას ითხოვდა. ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებული საჩივრების მნიშვნელოვანი ნაწილი ამომრჩეველთა ხელმოწერილი სიებიდან პარტიების წარმომადგენლებისა და დამკვირვებლების მიერ ინფორმაციის სისტემატურ შეგროვებას შეეხებოდა; საოლქო საარჩევნო კომისიებმა აღნიშნული სარჩელები კანონმდებლობაში ამგვარი პრაქტიკის ამკრძალავი დებულებების არარსებობის გამო არ დააკმაყოფილეს.

12 საარჩევნო კოდექსის 72-ე მუხლში საუბნო საარჩევნო კომისიებში საჩივრების შეტანის ფორმატი დეტალურად არის აღწერილი: საჩივარში, სხვა ინფორმაციასთან ერთად, მითითებული უნდა იყოს საჩივრის ავტორის, სავარაუდო დამრღვევისა და მოწმის სახელები და გვარები და მათი რეგისტრირებული მისამართები, გარდა ამისა, საჩივარში „დარღვევის არსი და დრო“ უნდა იყოს მითითებული. ზოგიერთი საჩივარი ისეთი ფორმალისტური საფუძვლით იქნა უარყოფილი როგორიცაა მათი „აბსტრაქტულობა“, რადგან ამ საჩივრებში დარღვევის დრო არ იყო მითითებული ან რადგან ისინი დაუყოვნებლივ არ იქნა შევსებული. ბევრ შემთხვევაში საჩივრების არსებითად განხილვა იმის გამო არ მომხდარა, რომ ადგილი ჰქონდა შესწორების ოქმების შედგენას, რომლითაც დარღვევა ფორმალურად ღმოიფხვრა.

სხდომებზე განიხილა. ყველა მათგანი, ძირითადად პროცედურული საფუძვლების გამო არ დაკმაყოფილდა.[13]

ცესკოს ორი და საოლქო საარჩევნო კომისიების 35 გადაწყვეტილება რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში გასაჩივრდა. თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა 21 სარჩელი განიხილეს, რითაც რაიონული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყო გასაჩივრებული. ამ სარჩელების დიდი ნაწილი არ დაკმაყოფილდა ან განუხილველად იქნა დატოვებული პროცედურული საფუძვლების გამო. შედეგად საჩივრების შინაარსი ხშირად განუხილველი რჩებოდა.[14] ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოები საოლქო საარჩევნო კომისიების პრაქტიკას აგრძელებდნენ და კანონს ფორმალისტურად განმარტავდნენ.[15]

სააპელაციო სასამართლოში სარჩელების განხილვა სხვადასხვა მოსამართლეების მიერ კანონის არათანმიმდევრულად განმარტებით გამოირჩეოდა, რაც იურიდიულ სიცხადეს და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს აკნინებდა.[16]

საერთო ჯამში საჩივრების განხილვა ზედმეტად ფორმალისტურად მიმდინარეობდა და ხშირად მათი შინაარსი სათანადოდ არ იყო გამოძიებული, რაც დარღვევების ეფექტურად გამოსწორების უფლებას და საარჩევნო დავების გადაწყვეტის სისტემისადმი საზოგადოების ნდობას ამცირებს, ეს კი ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო პრაქტიკას ეწინააღმდეგება.[17]

---

13 დამატებით ხუთი საჩივრის განუხილველად დატოვება არაუფლებამოსილი პირის მიერ შემოტანის ან მათი სასამართლოებში უკვე შეტანის გამო მოხდა.

14 მე-19 საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება თიანეთში ბათილად ცნობილი ბიულეტენების ხელახალი გადათვლის შესახებ მცხეთის რაიონულმა სასამართლომ პროცედურულ საფუძვლებზე გააუქმა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება იგივე პროცედურული საფუძვლების გამო დატოვა ძალაში, რის შედეგადაც ბიულეტენების ნამდვილობასთან დაკავშირებული ძირითადი სარჩელი ფაქტიურად განუხილველი დატოვა.

15 მაგალითად, 4 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ 79-ე საოლქო საარჩევნო კომისიის ის გადაწყვეტილება დატოვა ძალაში, რომლითაც საჩივრის განუხილველად დატოვება იმის გამო მოხდა, რომ ეს საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიაში არა დაუყოვნებლივ, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, არამედ კენჭისყრის დღეს დაფიქსირებული სავარაუდო დარღვევიდან ხუთი საათის შემდეგ შეიტანეს.

16 27 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სარჩელთან დაკავშირებით დაადგინა, რომ ამომრჩეველთა ხელმოწერილი სიებიდან ინფორმაციის შეგროვება კანონიერი იყო და საარჩევნო კოდექსის დებულებებს შეესაბამებოდა. 28 ოქტომბერს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ შეტანილი მსგავსი სარჩელის განხილვისას იმავე სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული პრაქტიკით დაირღვა კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

17 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10-ე პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების შესწორების ეფექტური შესაძლებლობა ყველას უნდა გააჩნდეს, რათა ფუნდამენტური უფლებების და სამართლებრივი მთლიანობა იყოს გარანტირებული. ვენეციის კომისიის „რეკომენდებული პრაქტიკის კოდექსის“ მე-2 კარის მიხედვით „პროცედურა მარტივი და ფორმალიზმისგან დაცლილი უნდა იყოს, კონკრეტულად კი სარჩელების დაშვებადობასთან დაკავშირებით.“

არჩევნების პირველი ტურის შემდეგ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ, რომელსაც იუსტიციის მინისტრი თავმჯდომარეობს, ორი საჯარო სხდომა ჩაატარა.[18] 6 ნოემბერს კომისიამ რეკომენდაცია გამოსცა, რომლითაც საარჩევნო ადმინისტრაციას სიებიდან ამომრჩევლების შესახებ ინფორმაციის შეგროვების პრევენციის, ხოლო ადგილობრივი დამკვირვებლებს და არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს ამ გზით ინფორმაციის შეგროვებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა. გარდა ამისა, უწყებათაშორისმა კომისიამ სასამართლოები მე-19 საოლქო საარჩევნო კომისიის იმ გადაწყვეტილების გაუქმება მოუწონა, რომლითაც ბათილად ცნობილი ბიულეტენების ხელახალი გადათვლა მოხდა. აღნიშნულმა, კომისიის მიერ სასამართლოებზე პოტენციური გავლენის თვალსაზრისით გარკვეული შეშფოთება წარმოშვა.[19]

საკანონმდებლო ჩარჩო

საკანონმდებლო ჩარჩო ძირითადად სათანადო საფუძველს ქმნის არჩევნების დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად ჩასატარებლად. თუმცა, საარჩევნო კოდექსში მეორე ტურთან დაკავშირებით კონკრეტული რეგულაციები არ არსებობს. მართალია, კანონის დებულებები ზოგადად არჩევნების ორივე ტურს ეხება, მაგრამ მეორე ტურთან დაკავშირებული გარკვეული ასპექტები არათანმიმდევრული ან ბუნდოვანია, რაც დროდადრო იურიდიული თვალსაზრისით გაურკვევლობას წარმოშობდა (იხ. *„საარჩევნო ადმინისტრაცია“* და *„მედია“*).

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, მეორე ტურში გასულ კანდიდატებს არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურის მოხსნა არ შეუძლიათ. ამგვარი შეზღუდვის საფუძველი გაურკვეველია. ამ მუხლის აღსრულებამ საარჩევნო სუბიექტების არჩევნებში მონაწილეობის უფლება რისკის ქვეშ დააყენა და უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ორ ოლქში ჩატარებული მეორე ტურის შეჯიბრებითობაზე.[20]

---

18 კანონის შესაბამისად, უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის, ივლისში შეიქმნა „საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების პრევენციასა და დარღვევებზე რეაგირების“ მიზნით.

19 უფრო კონკრეტულად, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ სასამართლოები „გამბედაობისთვის“ და „სწორი ქმედებისთვის“ შეაქო „ქართული ოცნების“ კანდიდატის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებისთვის. სხდომის მსვლელობის პერიოდში „ქართული ოცნების“ კანდიდატის მეორე საჩივარი, რომლითაც თიანეთში არჩევნების მეორე ტურის დანიშვნას მოითხოვდნენ, განხილვის სტადიაში იმყოფებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

20 კანონში გაწერილი დებულებები არჩევნებში მესამე ადგილზე გასულ კანდიდატს მეორე ტურში მონაწილეობის უფლებას უზღუდავს მაშინ, როდესაც მეორე ადგილზე გასულ კანდიდატს საკუთარი კანდიდატურის მოხსნა სურს. გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს 25-ე ზოგადი კომენტარის მე-15 პუნქტის მიხედვით, არჩევითი თანამდებობის დაკავების მიზნით არჩევნებში მონაწილეობის უფლების ეფექტურად განხორციელება და შესაძლებლობა იმას უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ხმის მიცემის მქონე პირებს კანდიდატების თავისუფლად შერჩევის საშუალება გააჩნდეთ. ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 24-ე პუნქტის მიხედვით, დემოკრატიულ საზოგადოებაში უფლებების და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შესაბამისი კანონის ერთ-ერთ ამოცანას უნდა ეხებოდეს და ამ კანონის მიზნების მკაცრად პროპორციული უნდა იყოს..

საარჩევნო ადმინისტრაცია

მეორე ტურის ადმინისტრირება ცესკოს, 6 საოლქო საარჩევნო კომისიის (იმ ოლქებში, სადაც მეორე ტური დაინიშნა) და 317 საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ განხორციელდა. მეორე ტურის წინ ცესკომ სამი სხდომა ჩაატარა და კანონით დადგენილი ყველა ვადა დაიცვა. მერების არჩევნების მეორე ტურის დეცენტრალიზებულად ორგანიზებამ და პირველი ტურის დროს უკვე ჩატარებულმა მოსამზადებელმა სამუშაოებმა ცესკოს მიერ პროცესებში რეგულარულად ჩარევის აუცილებლობა შეამცირა. საერთო ჯამში ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა მეორე ტურისთვის მოსამზადებელი სამუშაოები პროფესიონალურად და დროულად შეასრულეს.

არჩევნების პირველი ტურის შედეგების გამოცხადების შემდეგ ცესკომ მეორე ტურებთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების უმრავლესობის ადმინისტრირება მოახდინა. ეს მოიცავდა შესაბამისი საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა უფლებამოსილების გაგრძელებასა და საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ჩანაცვლების პროცედურების დადგენას. ამის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიებმა კვლავ წამოიწყეს სამუშაოზე აყვანის პროცესი და ღია კონკურსის წესით საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებული ვაკანსიების უმეტესობა იმ პირებით შეავსეს, რომლებიც არცერთ პარტიას მიეკუთვნებოდნენ. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნული წევრები გაიწვიეს ისე, რომ მათი ჩანაცვლება არ მოუხდენიათ; ამის შედეგად საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმოქმნილი 696 ვაკანსია საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შეივსო.[21]

ცესკოს სწავლების ცენტრმა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის დამატებითი ტრენინგები ჩაატარა, რომლებიც ძირითადად ხმების დათვლაზე და ოქმების შედგენაზე იყო ორიენტირებული; ტრენინგების მსვლელობისას მეტი დრო დაეთმო პრაქტიკულ სავარჯიშოებს. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დაკვირვებით ტრენინგები ძირითადად ყოვლისმომცველი და ინტერაქტიული იყო, და პირველი ტურის შედეგად მიღებულ გამოცდილებას ეფუძნებოდა. ცესკოს სწავლების ცენტრმა ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია ექვსივე ოლქში ჩაატარა და ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებული ბროშურების დარიგებით და საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ადგილობრივ ტელევიზიების საშუალებით კენჭისყრის პროცედურების შესახებ სარეკლამო რგოლების გაშვებით შემოიფარგლა.

ცესკომ 23,500-ზე მეტი დამკვირვებლის, მედიისა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის არსებული აკრედიტაციების მოქმედების ვადა გაახანგრძლივა, მათ შორის, იმ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გაცემული აკრედიტაციებისა, სადაც მეორე ტური დაინიშნა. აღნიშნული პროცესი ცესკოს მხრიდან ჩართულობის პრინციპის სრული დაცვით წარიმართა. რეგისტრირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს,

[21] „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ქრისტიან-კონსერვატიულმა პარტიამ“ თავიანთი წარმომადგენლები ყველა იმ საუბნო საარჩევნო კომისიიდან გაიწვია, სადაც მეორე ტური დაინიშნა.
არაოფიციალური თარგმანი

მედიისა და მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს დამატებითი წარმომადგენლების აკრედიტების მოთხოვნის საშუალება კენჭისყრის დღემდე მაქსიმუმ სამი დღით ადრე ჰქონდათ. მთლიანობაში, არჩევნების მეორე ტურისთვის ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა დამატებით 1,926 დამკვირვებლის, მედიისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლის აკრედიტება მოახდინეს.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ცესკომ პირველი ტურისთვის არსებული ამომრჩეველთა საბოლოო სიების განახლება გადაწყვიტა პირველსა და მეორე ტურს შორის პერიოდში გარდაცვლილი ამომრჩევლების სიებიდან ამოღების და 18 წელს მიღწეული (მათ შორის, კენჭისყრის დღეს) ამომრჩევლების სიებში შეყვანის მიზნით. სიებთან მიმართებაში სხვა არანაირი ცვლილების განხორციელება იყო შესაძლებელი.[22] იმ ექვს ოლქში, სადაც მეორე ტური გაიმართა, სულ 328.272 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. პირველი ტურის დროს შედგენილი სპეციალური სიები მეორე ტურისთვის უცვლელი დარჩა. ამომრჩეველთა სიები საარჩევნო უბნებში იყო გამოკრული, ხოლო ცესკომ ამომრჩეველთა სიები საკუთარ ვებგვერდზე განათავსა, რითაც ამომრჩევლებს საკუთარი მონაცემების შემოწმების საკმარისი შესაძლებლობა მიეცათ. ისევე, როგორც პირველი ტურის დროს, დაინტერესებულმა მხარეებმა ამომრჩეველთა სიების სიზუსტესთან დაკავშირებით ნდობა გამოხატეს.

საარჩევნო კამპანიის გარემო

კანონის მიხედვით არჩევნების პირველი ტურის შემდეგ საარჩევნო კამპანია არ წყდება და როგორც პირველ, ისე მეორე ტურზე ერთი და იგივე რეგულაციები მოქმედებს.[23] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ქუთაისსა და მარტვილში დანიშნულ მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის გამო, კონკურენტული საარჩევნო კამპანია ექვსი ოლქიდან მხოლოდ ოთხში გაიმართა. კანდიდატებს საარჩევნო კამპანიის თავისუფლად წარმართვის შესაძლებლობა ჰქონდათ და ფუნდამენტური უფლებები უმეტესწილად დაცული იყო.

მეორე ტურის საარჩევნო კამპანიის დინამიკა და ტონი ოლქების მიხედვით განსხვავდებოდა. თუმცა, მთლიანობაში საარჩევნო კამპანიის აქტივობები ლიმიტირებული იყო. ისევე როგორც პირველი ტურის დროს, კანდიდატები ძირითადად ამომრჩევლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ მედიას ანიჭებდნენ

---

22 იმ დროს, როცა საარჩევნო კოდექსით ნათლად არ არის განსაზღვრული, შესაძლებელია თუ არა არჩევნების ტურებს შორის პერიოდში ამომრჩეველთა სიების შესწორება, ცესკომ საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე მეორე ტურისთვის ამომრჩეველთა სიებში შემდგომი ცვლილებები გამორიცხა. გადაწყვეტილების მიღების მოტივი ცესკომ იმით ახსნა, რომ სურდა ისეთი სპეკულაციების თავიდან აცილება, როდესაც ამომრჩევლები, კონკრეტული კანდიდატის მხარდაჭერის მიზნით, გამიზნულად იცვლიან რეგისტრაციის ადგილს.

23 საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის ი[1] პუნქტის თანახმად საარჩევნო პერიოდი არჩევნების გამოცხადების შესახებ გამოცემული იურიდიული აქტის ძალაში შესვლიდან იწყება და იგი შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების შესახებ შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებამდე გრძელდება.

უპირატესობას. აგიტაციის დროს „ქართული ოცნება“ ძირითადად იმ ადგილებზე აკეთებდა აქცენტს, სადაც მათმა კანდიდატებმა პირველი ტურის დროს ნაკლები მხარდაჭერა მოიპოვეს. ზოგიერთმა პარტიამ წარუმატებლად სცადა მეორე ტურში ოპოზიციური კანდიდატების მხარდაჭერის თაობაზე შეთანხმების მიღწევას; თუმცა, ოზურგეთში „პატრიოტთა ალიანსის“ ადგილობრივმა წარმომადგენლობამ მხარდაჭერა გამოუცხადა დამოუკიდებელ კანდიდატს.

პირველი ტურისგან განსხვავებით ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება შეშფოთების მთავარ საგნად არ დასახელებულა. თუმცა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ოზურგეთში დამკვირვებელზე და ბორჯომში საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებზე ზეწოლისა და დაშინების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.[24]

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული ზოგადი რეგულაციები მეორე ტურზეც ვრცელდება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მეორე ტურში მონაწილე სუბიექტებისთვის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ანგარიშების წარმოდგენის პერიოდი 22 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე განსაზღვრა; საარჩევნო სუბიექტებს ამ ანგარიშების 15 ნოემბრმდე წარმოდგენა დაევალათ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს კენჭისყრის დღემდე წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული ანგარიშების შემოწმება და საკუთარი დასკვნების გამოქვეყნება კანონით არ ევალება. როგორც პირველი ტურის დროს აღინიშნა, ამან წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობის დონე შეამცირა.

22 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე პერიოდში სამმა პარტიამ და ბლოკმა და ასევე ერთმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა ჯამში 763,220 ლარის ოდენობის შემოწირულობა 40 შემომწირველისგან მიიღეს.[25] აქედან 716,100 ლარი 38 შემომწირველმა „ქართულ ოცნებას“ შესწირა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საკუთარი ინიციატივით 22 შემომწირველის შემოსავლების წყაროს გამოკვლევა გადაწყვიტა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წინასაარჩევნო პერიოდის დაწყების შემდეგ შემოსული 21 საჩივარი განიხილა და 17 მოკვლევა დაიწყო. ექვს შემთხვევაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოძიება ოფიციალური წერილობითი გადაწყვეტილების გამოქვეყნების გარეშე დაასრულა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ საქმეთა უმრავლეობის გამოძიება მხოლოდ მეორე ტურის (კენჭისყრის დღის) დასრულების შემდეგ მოხდება. კანონი სახელმწიფო აუდიტის

[24] 6 ნოემბერს „პატრიოტთა ალიანსმა“ უწყებათაშორის კომისიას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა და ასევე საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებული ზეწოლის შესახებ აცნობა. 8 ნოემბერს ოზურგეთში დამოუკიდებელი კანდიდატის წარმომადგენელი გაუჩინარდა მას შემდეგ, რაც მასზე „ქართული ოცნების“ კანდიდატის წარმომადგენლების მიერ სავარაუდო ზეწოლა განხორციელდა. პოლიციის მიერ 10 ნოემბერს გაკეთებული განცხადების თანახმად დამოუკიდებელი კანდიდატის წარმომადგენელი ნაპოვნია უვნებელ მდგომარეობაში.

[25] 1 ევროს ღირებულება 3.01 ლარს უდრის.

სამსახურის მიერ საჩივრების დაჩქარებული ტემპებით განხილვის ვალდებულებას არ ითვალისწინებს.[26] აღნიშნულმა პრაქტიკამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ზედამხედველობის ეფექტურობაზე.

მედია

24 ოქტომბერს მედიის ზედამხედველმა ორგანომ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ - მაუწყებლებს აცნობა, რომ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა სპეციფიკური რეგულაცია მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) მიერ არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემდეგ ამოქმედდებოდა მიუხედავად იმისა, რომ პირველ და მეორე ტურს შორის წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად არ შეწყვეტილა. ამიტომ, როგორც საზოგადოებრივმა, ისე კერძო მაუწყებლებმა კანდიდატებისთვის უფასო სარეკლამო დროის გამოყოფა და ფასიანი რეკლამის შეთავაზება მხოლოდ 2 ნოემბრიდან დაიწყეს. ამის გამო, საარჩევნო სუბიექტებს მედიის მეშვეობით წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის შესაძლებლობა შეზღუდული ჰქონდათ.

გამოხატვის თავისუფლება მეორე ტურის საარჩევნო კამპანიის დროს დაცული იყო. 2 ნოემბერს 29 ეროვნულმა და რეგიონულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ ერთობლივ განცხადებაში, საზოგადოებრივ მაუწყებელზე მთავრობასთან აფილირებული პირებისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მზარდი ზეგავლენა დაგმეს; გააკრიტიკეს ისეთი ასპექტები, როგორიცაა ნეპოტიზმი და სარედაქციო მიკერძოებულობა; ასევე ეჭვქვეშ დააყენეს არხის მიერ საზოგადოებრივი მანდატის შესრულების საკითხი. განცხადების ავტორებმა პარლამენტს მოუწოდეს შეისწავლოს არხზე არსებული მდგომარეობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები.[27]

მეორე ტურის ფარგლებში, ეროვნულ დონეზე მედია უმთავრესად მიმდინარე საარჩევნო კამპანიის იგნორირებას ახდენდა, თუმცა, ზოგიერთი ადგილობრივი მედია საშუალება ამომრჩევლებს საარჩევნო სუბიექტების შესახებ აწვდიდა ინფორმაციას. მეორე ტურის შედეგების გამოცხადებამდე, პოლიტიკური ახალი ამბების გამოშვებებში, მთავარი აქცენტი პარტიების მიერ არჩევნების პირველი ტურის შედეგებთან დაკავშირებით გამოხატულ რეაქციასა და პირველი ტურის შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ გაკეთებულ კომენტარებზე კეთდებოდა. მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში,

---

26 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით, გამოძიება პირველი ტურის დროს წამოწყებულ რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით დასრულდა, მათ შორის იყო თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის წინააღმდეგ ფეისბუქში მიმდინარე ნეგატიური კამპანია; „ევროპული საქართველოს“ კანდიდატის მიერ ქუთაისში კალენდარების დარიგება; ოზურგეთში „ქართული ოცნების“ კანდიდატის მიერ სახელმწიფო შენობების გამოყენება და რუსთავის მერიის თანამშრომლების მიერ ბროშურების გავრცელება. თუმცა 8 ნოემბრის მდგომარეობით ამ გამოძიებებთან დაკავშირებით არავითარი წერილობითი დასკვნა არ ყოფილა წარმოდგენილი; სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ ამ საქმეებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები მოგვიანებით გამოქვეყნდებოდა.

27 იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მედიის მონიტორინგი გააგრძელა, ამ შემთხვევაში მონიტორინგს მედია საშუალებების შედარებით ნაკლები რაოდენობა დაექვემდებარა.[28]

მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება უფრო შესამჩნევი 1 ნოემბრის შემდეგ, უმთავრესად უფასო საარჩევნო რეკლამების საშუალებით გახდა. მეორე ტურში „ქართულ ოცნებასა“ და „პატრიოტთა ალიანსს“ საარჩევნო რეკლამისთვის უფასო საეთერო დროის მიღების უფლება მიენიჭათ. აღნიშნული შესაძლებლობა ორივე პარტიამ გამოიყენა. დამოუკიდებელ კანდიდატებს საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვა მხოლოდ ფასიანი საარჩევნო რეკლამების მეშვეობით შეეძლოთ, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და საერთაშორისო დონეზე არსებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.[29]

მთლიანობაში მმართველი პარტია “ქართული ოცნება“ ეროვნულ დონეზე მედიაში გაშუქების კუთხით კვლავ დომინირებდა, ამ პერიოდში ფართოდ იყო წარმოდგენილი თბილისის არჩეული მერის, კახი კალაძესთან დაკავშირებული მოვლენები.[30] საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ახალი ამბების დროის 25 პროცენტი „ქართულ ოცნებას“ დაუთმო, ყველა სხვა პარტიას ერთად კი 29 პროცენტი. ამავდროულად, საზოგადოებრივი მაუწყებელი „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის“ მმართველობის დროინდელ მაღალჩინოსნებთან დაკავშირებულ მოვლენებს ფართოდ აშუქებდა (13 პროცენტი), ხშირ შემთხვევაში ნეგატიური ტონით.[31] ტელეკომპანია „იმედმა“ „ქართული ოცნების“ საქმიანობის გაშუქებას ყველაზე მეტი დრო 39 პროცენტი დაუთმო, ძირითადად, ნეიტრალურ და დადებით ტონში.[32] ტელეკომპანია “პირველი“ მოვლენებს შედარებით დაბალანსებულად აშუქებდა, რომლის ეთერში ძირითადი პარტიებისთვის გამოყოფილი დრო უფრო თანაბარი იყო და ფაქტებს ეყრდნობოდა.

---

28 6 ნოემბერს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ახალი ფორმატი აამოქმედა, რომელიც ორ პოლიტიკურ პროგრამასა და არხის ახალი ამბების მთავარ გამოშვებაში ცვლილებების შეტანას გულისხმობს.

29 ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.8-ე პუნქტის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ მოქალაქეების იმ უფლებას, რომლის მიხედვით მათ დისკრიმინაციის გარეშე შეუძლიათ ეცადონ, ინდივიდუალურად, პოლიტიკური პარტიების ან ორგანიზაციების წარმომადგენლების სახით, პოლიტიკური ან საჯარო თანამდებობის დაკავება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების (CM/Rec(2007)15) II4-ე პუნქტის მიხედვით წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განიხილონ საკუთარ საკანონმდებლო ბაზაში ისეთი დებულებების შეტანის მიზანშეწონილობა, რომელთა მიხედვით საზოგადოებრივმა მედია საშუალებებმა წინასაარჩევნო პერიოდში შესაძლოა უფასო საეთერო დრო გამოუყონ პოლიტიკურ პარტიებს/კანდიდატებს. როდესაც ამგვარი უფასო საეთერო დროის და/ან მსგავსი პრივილეგიების გამოყოფა ხდება, ეს სამართლიანად და არადისკრიმინაციულად უნდა მოხდეს...“

30 რეგიონულ დონეზე რამდენიმე რეგიონული მაუწყებელი, კერძოდ ტელეკომპანიები „ბორჯომი“, „გურია“ და „რიონი“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას აქტიურად ახდენდა.

31 6 ნოემბერს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ახალი ფორმატი აამოქმედა, რომელიც ორ პოლიტიკურ სატელევიზიო პროგრამას მოიცავს და არხის ახალი ამბების მთავარ გამოშვებაში ცვლილებების შეტანას გულისხმობს.

32 აღნიშნულმა ტელეარხმა მთავრობის საქმიანობა ყველაზე ინტენსიურად გააშუქა (საინფორმაციო გამოშვებების დაახლოებით 23%).

არჩევნების დღე

კენჭისყრის პროცედურები შეუფერხებლად და პროფესიონალურად განხორციელდა. საარჩევნო უბნებზე კანდიდატების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი დამკვირვებლების დიდმა რაოდენობამ პროცესის გამჭვირვალობას შეუწყო ხელი. თუმცა, საკმაოდ ხშირად საარჩევნო სუბიექტებს დასაშვებზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდათ. ისევე როგორც პირველ ტურში, ზოგიერთი ადგილობრივი დამკვირვებელი და მედიის წარმომადგენელი პარტიებთან ან კანდიდატებთან იყვნენ აფილირებული და ხანდახან ისინი პროცესში ერეოდნენ. საარჩევნო უბნების სიახლოვეს ადამიანთა დიდი ჯგუფები დაფიქსირდა, არსებობდა ამომრჩევლებზე ზეწოლის და მათი დაშინების ნიშნები. საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა 61 პროცენტი ქალი იყო.

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნები დროულად გაიხსნა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნების გახსნის პროცესი 40-დან 39 უბანზე დადებითად შეაფასეს, მათი შეფასებით პროცესი მოწესრიგებულად მიმდინარეობდა და პროცედურებიც ძირითადად დაცული იყო. მონიტორინგს დაქვემდებარებული შვიდი საარჩევნო უბნის გახსნისას პროცესში ადგილობრივი დამკვირვებლები ან მედიის წარმომადგენლები ჩაერივნენ.

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 98%-ში ხმის მიცემის პროცესი კარგად ან ძალიან კარგად შეფასდა. დამკვირვებლების ინფორმაციით პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა, უმეტესწილად პროცედურების დაცვით. მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების დაახლოებით 30%-ში პოლიტიკურმა პარტიებსა და კანდიდატებს დასაშვებზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდათ, ჩვეულებრივ ისინი ადგილობრივი დამკვირვებლების ან მედიის წარმომადგენლების სახით იყვნენ აკრედიტებული.[33] მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 3%-ში ისინი საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში ერეოდნენ ან მათ მუშაობას წარმართავდნენ. მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 4%-ში არაუფლებამოსილი პირები, მათ შორის, პირველ ტურში მონაწილე კანდიდატების წარმომადგენლები (რომელთა აკრედიტაციასაც ვადა ჰქონდა გასული) იმყოფებოდნენ. ხმის მიცემის პროცესი ძირითადად გამჭვირვალედ შეფასდა, თუმცა მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 4%-ში ხალხმრავლობა დაფიქსირდა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ბორჯომსა და ოზურგეთში საარჩევნო უბნების სიახლოვეს ადამიანთა დიდი ჯგუფები, მათ შორის, პარტიების ან კანდიდატების

[33] ხმის მიცემის პროცესის დროს საარჩევნო უბნებზე „ქართული ოცნების“ ერთზე მეტი წარმომადგენელი მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 18%-ში, დამოუკიდებელი კანდიდატის ერთზე მეტი წარმომადგენელი მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 7%-ში, „პატრიოტთა ალიანსის“ ერთზე მეტი წარმომადგენელი მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 6%-ში, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთზე მეტი წარმომადგენელი მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 2%-ში დაფიქსირდა.

წარმომადგენელი აქტივისტები, დააფიქსირეს (მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების შესაბამისად 30% და 21%). მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების დაახლოებით 3%-ში არჩევნებზე მოსულ ადამიანებზე ზეწოლის ან მათი დაშინების ნიშნები დაფიქსირდა. გარდა ამისა, მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 2%-ში ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობები იქნა დაფიქსირებული.

ისევე როგორც არჩევნების პირველ ტურში აღინიშნა, საარჩევნო უბნების გარეთ და შიგნით ამომრჩეველთა მონაცემების სისტემატურად აღრიცხვის ნიშნები ფიქსირდებოდა, სავარაუდოდ ეს იმისთვის ხდებოდა, რომ არჩევნებზე არგამოცხადებულ ამომრჩევლებთან დაკავშირება და მათზე არჩევნებზე მოსვლის და ხმის მიცემის მიზნით ზეწოლა განხორციელებულიყო.[34] ძირითადად, პარტიების ან კანდიდატების წარმომადგენლები საარჩევნო უბნების შიგნით იმ ამომრჩეველთა აღრიცხვას ახდენდნენ, ვინც ხმა მისცა (ყველაზე ხშირად ეს ოზურგეთში ხდებოდა - ამ ოლქში მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 26%-ში), რაც უწყებათაშორისი კომისიის 6 ნოემბრის რეკომენდაციას ეწინააღმდეგებოდა.[35]

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 11%-ში ამომრჩევლებს ხმის მიცემის საშუალება არ მიეცათ, რადგან მათ მოქმედი პირადობის დამადასტურებელი ბარათები არ აღმოაჩნდათ ან ისინი საარჩევნო სიებში არ იყვნენ შეყვანილი. მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 10%-იში ამასთან დაკავშირებით ოფიციალური საჩივრები დაიწერა.

ხმების დათვლის პროცესი მონიტორინგს დაქვემდებარებულ ყველა უბანზე დადებითად შეფასდა, დამკვირვებელთა ინფორმაციით პროცესი გამჭვირვალედ და მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე მიმდინარეობდა. პირველ ტურთან შედარებით, ხმის დათვლის პროცედურების დაცვა აშკარად გაუმჯობესდა, რაც ნაკლებად რთული პროცესით და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების უკეთესად მომზადებით იყო განპირობებული. რამდენიმე უბანზე დაძაბულობა შეინიშნებოდა. მონიტორინგს დაქვემდებარებულ 6 საარჩევნო უბანზე არაუფლებამოსილმა პირებმა ხმების დათვლის პროცესში მიიღეს მონაწილეობა. მონიტორინგს დაქვემდებარებული 37 უბნიდან 12-ში ხმების დათვლის პროცედურებით დადგენილი თანმიმდევრობიდან მცირე გადახვევები დაფიქსირდა. ოქმების შევსება ძირითადად დადებითად შეფასდა.

---

34 მარტვილის 65-ე საარჩევნო ოლქის სოფელ ტალერში „ქართული ოცნების“ აქტივისტთა ჯგუფი 35-ე საარჩევნო უბნის უკანა ოთახში იჯდა, მათ თან ჰქონდათ ამომრჩეველთა სიები, ის ამომრჩევლები, რომლებმაც უკვე მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა, ამ სიებში შესაბამისად იყვნენ მონიშნული, გარდა ამისა, ისინი ტელეფონის ზარებს ახორციელებდნენ.

35 მაგალითად ბორჯომის მე-7 და 36-ე საარჩევნო უბნებში „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელი რეგისტრატორის გვერდით იდგა ამომრჩეველთა სიით ხელში და ჩანაწერებს ახორციელებდა. მე-17 და ასევე 36-ე საარჩევნო უბნებზე „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული დამკვირვებელი იგივეს აკეთებდა და ამომრჩევლებთან დაკავშირებულ მონაცემებს საარჩევნო უბნის გარეთ მყოფ პირებს გადასცემდა. ოზურგეთის მე-60 საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ აქტივისტები ამომრჩევლებთან დაკავშირებულ მონაცემებს მე-2, მე-4 და მე-5 საარჩევნო უბნებთან მანქანებში მსხდომ პირებს აწვდიდნენ.

შედეგების შეჯამების პროცესი ექვსივე საოლქო საარჩევნო კომისიაში დადებითად შეფასდა დამკვირვებელთა ინფორმაციით პროცესი შეუფერხებლად და მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, ხოლო პროცედურები ზოგადად დაცული იყო. საარჩევნო მასალების მიღების და საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების დამუშავება გამჭვირვალედ მიმდინარეობდა.[36]

ცესკომ საუბნო საარჩევნო კომისიებიდან შემოსული ოქმების გამოქვეყნება კენჭისყრის დღეს, უბნების დახურვიდან მალევე, 21:30-დან დაიწყო. წინასწარი მონაცემებით ამომრჩეველთა აქტივობამ 33.2%-ი შეადგინა.[37] ცესკომ ექვსივე ოლქში ჩატარებული არჩევნების წინასაწრი შედეგები 13 ნოემბრის 03:00-სთვის გამოაცხადა. ცესკოს მონაცემებით საოლქო საარჩევნო კომისიებში საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით 34 საჩივარი იქნა შეტანილი, ამ საჩივრებით ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების იმ წევრთა მიმართ სანქციების გამოყენება იყო მოთხოვნილი, რომლებმაც სავარაუდოდ პროცედურული დარღვევები ჩაიდინეს.

წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია. ანგარიშის არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.

ინფორმაცია მისიის შესახებ & სამადლობელი სიტყვა

2017 წლის 13 ნოემბერი, თბილისი – წინამდებარე მოხსენება წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მუშაობის შედეგია. არჩევნების შეფასების მიზანს წარმოადგენდა ევროპის ვალდებულებებსა და ევროპის საბჭოს სტანდარტებთან, ამასთან დემოკრატიული არჩევნებისთვის დადგენილ სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და ვალდებულებებთან, ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.

ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი მხარს უჭერს არჩევნებზე დაკვირვების საერთაშორისო პრინციპების 2005 წლის დეკლარაციას. წინამდებარე დოკუმენტი წინასწარი მიგნებების და დასკვნების შესახებ საარჩევნო პროცესის დასრულებამდე ქვეყნდება. არჩევნების საბოლოო შეფასება დამოკიდებული იქნება, ნაწილობრივ, საარჩევნო პროცესის დარჩენილი ეტაპების ჩატარებაზე, მათ შორის, ხმების დათვლის, გადათვლისა და შედეგების გამოცხადების, ასევე, სავარაუდოდ, არჩევნების დღის შემდეგ შემოსული საჩივრებისა და სარჩელების განხილვაზე. საარჩევნო პროცესის დასრულებიდან დაახლოებით რვა კვირის შემდეგ ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი გამოაქვეყნებს ყოვლისმომცველ

[36] ოზურგეთში საოლქო საარჩევნო კომისიის შენობის გარეთ ხალხმრავალმა ჯგუფმა დაძაბულობა შექმნა, თუმცა შედეგების გამოცხადების შემდეგ აღნიშნული ჯგუფი დაიშალა.

[37] ოზურგეთში, ყაზბეგში და ბორჯომში სადაც არჩევნებში ორი კანდიდატი მონაწილეობდა, ამომრჩეველთა აქტიურობამ 50%-ს გადააჭარბა.

საბოლოო ანგარიშს, რომელშიც ასევე წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები საარჩევნო პროცესის გასაუმჯობესებლად.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას, რომელიც 13 სექტემბერს გაიხსნა, კორინ იონკერი ხელმძღვანელობს. მისია დედაქალაქში წარმოდგენილი 14 ექსპერტისა და 12 გრძელვადიანი და 76 მოკლევადიანი დამკვირვებლისგან შედგება, რომლებიც იმ ექვს რეგიონში გადანაწილდნენ, სადაც მეორე ტური გაიმართა. არჩევნების დღეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი არჩევნებს 26 ქვეყნის წარმომადგენელი 106 დამკვირვებელით დააკვირდა. უბნების გახსნას 40, ხოლო ხმის მიცემის პროცესს 240 საარჩევნო უბანზე დააკვირდნენ. ხმების დათვლას 37 საარჩევნო უბანზე, ხოლო ხმების გადათვლას 6 საოლქო საარჩევნო უბანზე დააკვირდნენ.

სადამკვირვებლო მისიის წევრებს სურთ მადლობა გადაუხადონ საქართველოს ხელისუფლებას არჩევნებზე დამკვირვებლად მოწვევისთვის, ასევე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საგარეო საქმეთა სამინისტროს გაწეული დახმარებისთვის. მისია ასევე თანამშრომლობისთვის ღრმა პატივისცემას გამოხატავს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

- OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს, ქალბატონ კორინ იონკერს, თბილისში (+995 591 040 722);
- OSCE/ODIHR-ის წარმომამდგენელს ტომას რაიმერს (+48 609 522 266) ან OSCE/ODIHR-ის მრჩეველს საარჩევნო საკითხებში ოლექსი ლიჩკოვახს, ვარშავაში (+48 601 820 410);
- ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის კომუნიკაციის, საერთაშორისო ურთიერთობების და არჩევნებზე დაკვირვების განყოფილების უფროსს რენატე ზიკმუნდს, სტრასბურგში (+37 659 786 455).

OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მისამართი:
ვერცხლის ქ. #1, 0105 თბილისი
ტელ: +995 322 995 995
ელ-ფოსტა: office@odihr.ge
ვებგვერდი: http://www.osce.org/odihr/elections/georgia/339371